გასვლითი მატჩების წინ...

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 6 აპრილი. 75000 მაყურებელი.

„დინამო“ (თბილისი) -“მეტალისტი“ (ხარკოვი) 2:2 (1:2)

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, კუდინოვი, ჯოხაძე, გურული (ცაავა, 69), სულაქველიძე, გოგრიჭიანი (შენგელია, 55), გაზაევი, ჩელებაძე.

„მეტალისტი“: კუტეპოვი, კრიაჩკო, კუზნეცოვი, პანჩიშინი, კამარზაევი, მახინია, ლოზინსკი, დუმანსკი (ჟურავლიოვი, 79) ვაშჩენკო, ტარასოვი (იავორსკი, 66), აჯოევი.

მსაჯი: კ. დორონინი (მოსკოვი)

გოლები: გაზაევი (4), კამარზაევი (30), პანჩიშინი (40), პანჩიშინი (64, საკუთარ კარში).

გააფრთხილეს ვაშჩენკო, იავორსკი.

ხარკოვის „მეტალისტი“ უმაღლესი ლიგის იმ გუნდების რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა სამოქმედო პრინციპი, ასე ვთქვათ, საფეხბურთო კრედო, ყოველივე იმის დანგრევაა, რის შექმნასაც მეტოქე შეეცდება. თავად ხარკოველი ფეხბურთელები ნაკლებად ზრუნავენ შექმნაზე და მთელი გულისყური იქით აქვთ მიმართული, როგორმე ამ „ნგრევის“ ტაქტიკისგან მიიღონ რაიმე სარგებელი. ისინი არ თაკილობენ არც „მსუბუქი ჯარიმის“ ტაქტიკას, არც ბურთის უმისამართო მოგერიებას (უფრო ხშირად – აუტში), არც დროის გაყვანის სხვადასხვა ხერხს და ხშირად არც აშკარა, ყოვლად დაუფარავ უხეშობას. ერთი სიტყვით ნუ გვიწყენენ ამ გუნდის ქომაგები – თუ ხარკოველი არა ხარ, ძნელია სიმპათიით განიმსჭვალო „მეტალისტის“ მიმართ.

ასეთი მეტოქის წინააღმდეგ თამაშს თავისი სირთულეები ახლავს და ეს, რა თქმა უნდა, თბილისელებმაც კარგად იცოდნენ: ფეხბურთელებმა – საკუთარი გამოცდილებით, გულშემატკივრებმა – იმ მატჩებით, რომლებიც სანახაობრივი თვალსაზრისით იშვიათად თუ ყოფილა მიმზიდველი. დინამოელები უთუოდ საგანგებოდ ემზადებოდნენ ხარკოველთა გაძლიერებული დაცვის დასაძლევად, მაგრამ ვფიქრობ, მათზე ფსიქოლოგიურად თუ შეიძლება ითქვას, დამამშვიდებლად იმოქმედა იმ გარემოებამ, რომ ხუთი ტურის შემდეგ „მეტალისტს“ სატურნირო ცხრილის ბოლო საფეხური ეკავა და აქტივში ერთი გამარჯვებაც არ ეწერა. თუ მატჩამდე ჩვენი ფეხბურთელები მაინც ებრძოდნენ თავდაჯერებულობის სიმპტომებს, თამაშის დაწყებისთანავე ამ სიმპტომებმა აშკარად იჩინა თავი. იქნებ პარადოქსულადაც ჟღერდეს, მაგრამ მასპინძლებს ცუდი სამსახური გაუწია შეხვედრის დასაწყისში გატანილმა გოლმა, რომელმაც შექმნა მცდარი შთაბეჭდილება, თითქოს „მეტალისტის“ დამარცხება არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს. მართლაც, სტუმართა კართან შექმნილი პირველივე სახიფათო მომენტი წარმატებით დაგვირგვინდა: მე–4 წუთზე გოგრიჭიანმა მარჯვენა ფლანგიდან მოაწოდა კუთხური და

გაზაევმა თავური დარტყმით გახსნა ანგარიში 1:0. ამის შემდეგ მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში დინამოელები სულ ორჯერ დაემუქრნენ მეტოქის კარს: 25–ე წუთზე ჯოხაძის მიერ მოწოდებული კუთხურის შემდეგ, გოგრიჭიანმა ლამაზი ნახტომით თავით დაარტყა ბურთი, მაგრამ მიზანს ააცდინა, 41–ე წუთზე კი გურულის საჯარიმო (30-32 მეტრიდან) კუთხურზე მოიგერია კუტეპოვმა. რაც შეეხება „მეტალისტს“, იგი, გარდა იმისა, რომ ორი გოლი გაიტანა, კიდევ ერთხელ სულ ახლოს იყო მიზანთან. მე-15 წუთზე მახინიამ საჰაერო ბრძოლა მოუგო ჩვენს მცველებს. მისი თავური დარტყმა ზედა ძელმა მოიგერია, მაგრამ ბურთს ახლა აჯოევი დაუხვდა და ასევე თავით დაარტყა კარში – ამჯერად გაბელიამ იმარჯვა. დინამოელთა კარში გატანილი ორივე გოლი შორეული დარტყმების შედეგი იყო: 30-ე წუთზე კამარზაევმა 23-24 მეტრიდან ძლიერად დაარტყა მარჯვენა „ცხრიანში“ (გაბელიას ეტყობა, ეგონა, რომ ბურთი კარს სცდებოდა), ათი წუთის შემდეგ კი ასევე მოიქცა პანჩიშინი. სტუმრები დაწინაურდნენ – 2:1.

შესვენების შემდეგ, 55-ე წუთზე, გოგრიჭიანი შეცვალა შენგელიამ, რომელმაც გამოცოცხლება შეიტანა დინამოელთა თამაშში. იგი ბევრს მოძრაობდა, გამუდმებით ეძებდა ცარიელ ადგილებს და ხშირად მინდვრის სიღრმეშიც იხევდა უკან, საიდანაც საკმაოდ ზუსტი გადაცემებით ამარაგებდა პარტნიორებს. ანგარიში 64-ე წუთზე გათანაბრდა. შენგელია მარჯვენა ფრთაზე უბურთოდ გაიჭრა წინ, იგი შენიშნა გურულმა და ბურთის მიწოდებაც სცადა, მაგრამ პანჩიშინმა ნახტომით ჩაჭრა ეს გადაცემა და... საკუთარ კარში გაიტანა გოლი – 2:2 (სხვათა შორის, ბურთი შენგელიას რომ მიეღო, გოლი არ ჩაითვლებოდა, რადგან თბილისელთა თავდამსხმელი თამაშგარე მდგომარეობაში იყო).

მატჩის ბოლო 20 წუთი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, მაგრამ კუტეპოვის კართან რეალური საგოლე მომენტი მხოლოდ ორჯერ შეიქმნა. 73-ე წუთზე შენგელია–გაზაევ–ჩელებაძის კომბინაცია ვერ დაასრულა ამ უკანასკნელმა. 82-ე წუთზე კი უკვე თავად გაზაევმა ვერ გამოიყენა შენგელიას ზუსტი პასი. საანგარიშო მატჩმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ თუ წარმატების მოპოვება გინდა, ნებისმიერ მეტოქესთან ძალების სრული მობილიზებაა საჭირო.

ახლა დინამოელებს მეტად საპასუხისმგებლო გასვლითი მატჩები ელით. წარმატება ვუსურვოთ ჩვენს ფეხბურთელებს.

დავით კაკაბაძე

ლელო 08.04.1986